სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი სახვითი ხელოვნების კათედრა ასისტენტ - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“), ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი თეორიული ფილოსოფიის კათედრა ასისტენტ - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის დადგენილება N: 52/2025 და N8 სხდომის ოქმის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

“1“ ოქტომბერი 2025წ.

ქ. თბილისი

17:00 საათი, თსუ II კორპუსი, აუდიტორია № 205

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

ა) დემურ ჯალაღონია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ირაკლი ბრაჭული - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) მამია სურმავა - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დ) ვლადიმერ ასათიანი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ე) ვალერიან რამიშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

   ა) ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ასისტენტ პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

ბ) ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში თეორიული ფილოსოფიის ასისტენტ პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, დემურ ჯალაღონიამ მოახსენა წევრებს საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, სახვითი ხელოვნების ასისტენტ პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ლელა გელეიშვილმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის-ვლადიმერ ასათიანის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ლელა გელეიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წელი იყო მოწვეული პროფესორი.

ამ ხნის განმავლობაში იგი ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; ყველა ეს სასწავლო კურსი- 12 სილაბუსიდან 10 სწავლების ბაკალავრიტის საფეხურისაა, 2-მაგისტრატურის- საავტოროა. კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის ნაშრომი, პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოეთში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ალბომებ-ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; პუბლიკაციები უცხოეთში და საქართველოში (წარმოდგენილი 32 მხატვრული კატალაგ-ალბომიდან უცხოეთში გამოქვეყნებულია 24 პერსონალური კატალოგი. საქართველოში გამოქვეყნებულია 7 პერსონალური კატალოგი და ერთი წიგნი. კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; მიღებული აქვს საუკეთესო ახალი და თანამედროვე მხატვრების პრიზი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, 2022 წ. არის არაერთი გამოფენის, მათ შორის პერსონალურის, მონაწილე და ორგანიზატორი. აქვს უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან კერძოდ: კარლო ბოს უნივერსიტეტი, ურბინო იტალია, ანტალიის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტი.

ბოლო წლებში 10 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში აქვს მონაწილეობა მიღებული. განსაკუთრებულად ყურადსაღებია კონკურსანტის მუშაობა სტუდენტებთან. არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, უცხოეთში და საქართველოში გამართულ

გამოფენებში, მათ შორის პერსონულში, მონაწილე, ახორციელებს ეტიუდებზე გასვლას დაინტერესებულ სტუდენტებთან ერთად, რათა გაგრძელდეს, თსუ-ში წლების მანძილზე არსებული და ზოგადად სახვითი ხელოვნებისთვის აქტუალური პრაქტიკა პლენერზე მუშაობისა.

ლელა გელეიშვილს ბოლო წლებში, რამდენიმეჯერ ყავდა წაყვანილი სტუდენტები იტალიაში, საფრანგეთში და თურქეთში გამართულ სახელოვნებო ფესტივალებზე, ვორშოპებზე და გამოფენებზე. მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

არის შემოქმედებითი კავშირების და სხვა ორგანიზაციების წევრი. 2023 წლიდან ნახჩევანის რესპუბლიკის მხატვართა კავშირის საპატიო წევრი, 2017 წლიდან საფრანგეთის საერთაშორისო ხელოვნების აკადემიის (Mondial Art Academia) წევრი საქართველოში. 2016 წლიდან სლოვაკეთის საერთაშორისო სახელოვნებო ასოციაციაციის „Painted Equator Gallery" ელჩი საქართველოში. 2011 წლიდან ხელოვან ქალთა საერთაშორისო ასოციაციის "Femin & Art" საქართველოს ფილიალის დირექტორი, 1986 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

არის სხვადასხვა ჯილდოების მფლობელი: 2023 წელი, ჩანკირის საერთაშორისო ვორქშოპზე და გამოფენაზე ჯილდო საუკეთესო ნამუშევრისათვის. 2018 წელი, მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ტრადიციული და ადგილობრივი ღირებულებები", ჯილდო საუკეთესო ნამუშევრისათვის და საკონფერენციო თემისთვის. 2014 წელი, ტაზას პირველი საერთაშორისო ბიენალე - პრიზი მეორე ადგილისთვის.

სამოტივაციო წერილში კონკურსანტი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ხელოვნება ყოველთვის მრავალშრიანი და მრავლისმომცველია. სახვითი ხელოვნების სტუდენტებისთვის მხატვრისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების და ტექნიკა-ტექნოლოგიური ცოდნის შეძენის ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელს წარმოადგენს. ფერწერის დარგის სპეციფიკა განსაკუთრებულია იმ კუთხით, რომ პრაქტიკული, ტექნიკური კომპონენტი სასწავლო პროცესში სამუშაო და ყოველდღიურ ცოცხალ რეჟიმში მიმდინარეობს, ამიტომაც კონკურსანტის აზრით საკუთარი ინდივიდუალური შემოქმდებითი აქტიურობის გარეშე და მიღმა, პედაგოგი მას ჯეროვნად ვერ წარუძღვება.

მისი შემოქმდებითი ინტერესები და აქტივობა უცვლელად დაკავშირებულია ფერწერასთან. როგორც კონკურსანტი სამართლიანად აღნიშნავს, ფერწერა, სახვით ხელოვნებაში ჟანრული და თემატური მრავალფეროვნებით და გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა,

რომ სახვითი ხელოვნების ცნების გაგებაც კი მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის და ტრადიციული და ნოვატორული ღირებულებების გააზრების და ამასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა დღეს მეტად აქტუალურია, ფერწერული ხელოვნების, კოლორისტიკის ტრადიციული საშემსრულებლო და საავტორო კომპონენტების ბალანსი უაღრესად მნიშვნელოვანია. მიაჩნია, რომ ფერწერული ხელოვნება დინამიკური, განახლებადი, ცოცხალი სფეროა, სადაც მუდამ ეძებ და პოულობ ახალ მხატვრულ ამოცანებს. მას საკუთარი შემოქმდებითი ცხოვრების ბოლო ათწლეულების გამოცდილება კარნახობს, რომ ასეთი დამოკიდებულება აქტუალურია და ამავე დროს დაფასებული - განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში.

ამ მიმართულებით მიღებულ გამოცდილებას, შეძენილ კავშირებს და ჩართულობას, უშურველად და ერთგვარი აზარტით უზიარებს სტუდენტებს, რაც, უაღესად მნიშვნელოვანია. (როგორც აღინიშნა ბოლო წლებში მას რამდენიმეჯერ ყავდა წაყვანილი სტუდენტები იტალიაში, საფრანგეთში და თურქეთში გამართულ სახელოვნებო ფესივალებზე, ვორშოპებზე და გამოფენებზე) მომავალი ხელოვანისთვის, საკუთარი შემოქმდების წარმოჩენა, საგამოფენო და საპლენერო პროცესებში ჩართვა, წარმატების უტყუარი საწინდარია. ეს ცხადია, მაგრამ გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ის ენთუზიაზმი, ემოცია და პროცესის სწორი გააზრება, რომელიც დაფიქსირდა სტუდენტების მხრიდან ამგვარ აქტივობებში ჩართულობისას გახდა კონკურსანტის მუშაობის ნაწილი ნაყოფიერი და შედეგიანი გამოდგა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სახვითი ხელოვნების ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა მისი საქმიანობის ბუნებრივი ფორმაა და ამ საქმეს ჯეროვნად გაართმევს თავს.

კონკურსანტს ამ მიმართულებით წლების მანძილზე დაუგროვდა საბაზისო გამოცდილება, როგორც მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედების, პედაგოგიკის - ხელოვნების პრაქტიკული სწავლებისა და მეთოდოლოგიის დარგში, რაც წაადგება სასწავლო პროცესს და შეესაბამება ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, სახვითი ხელოვნების კათედრის, როგორც აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი ერთეულის მიზნებსა და დანიშნულებას. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ იგი ღრმად ერკვევა ფერწერაში, სახვით ხელოვნების ჟანრული და თემატურ მრავალფეროვნებაში.

კონკურსანტი გახლავთ პროფესიონალი მხატვარი, დიდი გამოცდილების მქონე საინტერესო ლექტორი, რომელიც მთელი არსებით ჩართულია ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის, როგორც სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში. მან შეძლო სტუდენტთა ჩართვა სხვადასხვა დასავლეთის უნივერსიტეტებში გამოფენებში, პლანშეტურ საქმიანობაში და ვორკშოფებში.

მას გააჩნია ღრმა საგნობრივი ცოდნა და დიდი გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის. მის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. არის პროფესიონალი კადრი, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში თეორიული ფილოსოფიის ასისტრნტ პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - მაია ქერქაძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის -მაია ქერქაძის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მაია ქერქაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) პირველ ნაწილში; ,,ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას" მიიღო შეფასება მაღალი.

მეორე ნაწილში ,,ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას'' მიიღო შეფასება საშუალო.

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში იყო მოწვეული პროფესორი და ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ლაბორანტი. ამ ხნის განმავლობაში იგი ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში დასახელების საგნებს, რომლებიც ფილოსოფიის საბაკალავრო დ პროგრამებშია შეტანილი; კონკურსანტს აქვს ყველა ამ სასწავლო კურსის (სულ 3) წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ, რეაკრედიტებულია.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. განსაკუთრებით ღირებულია მ. ქერქაძის ინტერესი მეცნიერების ფილოსოფიის და საერთოდ თეორიული ფილოსოფიის კუთხით. იგი გახლავთ საბაკალავრო და სამგისტრო ნაშრომების რეცეზენტი, ორი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი. კონკურსანტი ასევე ნაყოფიერად მუშაობს სტუდენტების სამეცნიერო ფორუმებში ჩასართავად. არის ორი კრებულის რედაქტორი. ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ასევე აქტიურადაა ჩართული ფაკულტეტის ტუტორიატის საქმიანობაში.

კონკურსანტის სახელმძღვანელო, პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას;

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, კონკურსანტი კარგად ერკვევა თეორიული ფილოსოფიის პრობლემატიკაში, მას გააზრებული აქვს ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა და არსი

საუნივერსიტეტო სწავლებაში. მისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის განხორციელება და მათი ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა და ფილოსოფიის სამეცნიერო წრეზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტებისათვის მომავალი სასწავლო საფეხურებზე სწავლის გაგრძელების.

მას აქვს კარგი საგნობრივი ცოდნა თეორიულ ფილოსოფიაში და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის. მის სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, ხელს შეუწყობს ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტს და თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ამდენად პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

კენჭი ეყარა:

ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ლელა გელეიშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, ღრმა პროფესიონალიზმი, მისი მიღწევები საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებზე, სიმპოზიუმებზე და ვორკშოფებზე, პროფესიული უნარ-ჩვევები, სტუდენტებთან სწავლების გარდა მათი ჩართულობით საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ პროცესებში სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან.

კონკურსანტ ლელა გელეიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სახვით ხელოვნებას, დაეხმარება ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;

ბ) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი კანდიდატ მაია ქერქაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ მაია ქერქაძის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, უკავშირდება თეორიულ ფილოსოფიას, სადაც იგი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას. დილემური პრობლემების სტუდენტისათვის გასაგებად და საინტერესოდ მიწოდებას. მისი აქტიურობა და

ჩართულობა სტუდენტებთან პრაქტიკული კუთხით დაეხმარება ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე (,,ა" კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **ლელა გელეიშვილი.**
2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის კათედრის ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე (,,ა" კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **მაია ქერქაძე.**
3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად

კომისიის თავმჯდომარე: / პროფ. დ. ჯალაღონია/

კომისიის მდივანი: /ასოც.პროფ. მ. სურმავა/

კომისიის წევრები: / პროფ. ი. ბრაჭული/

/ ასოც. პროფ. ვ. ასათიანი/

/პროფ. ვ. რამიშვილი/

თარიღი: 1.10.2025